



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №109

2011 წლის 26 აგვისტო  
ქალაქი ხაშური

## ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში არტეზიული ჭების მოწყობის სამუშაოს გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 21 ივლისს (სატენდერო განცხადება (SPA 110019468) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში არტეზიული ჭების მოწყობის სამუშაოს შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 15 აგვისტოს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №201 განკარგულების შესაბამისად სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით კი, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში არტეზიული ჭების მოწყობის სამუშაოს შესყიდვა აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში არტეზიული ჭების მოწყობის სამუშაოს გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

